112-ის დროით



№43
აპრილ-მაისი. 2017

რედაქტორი ლიკა ალადაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: სოფო ალექსიძე, ნატალია გელაშვილი, სალომე გელუტაშვილი, ნინო ეკიზაშვილი

დიზაინი თეა კუპრაძე

01 შს სამინისტრომ დამოუკიდებლობის დღე თელავში აღნიშნა..... ..... გვ.4-7

02 შს სამინისტრომ პოლიციელის პროფესიული დღე აღნიშნა გვ.8-9

03 საქართველოს შს მინისტრის მოადგილემ და ლიტვის შს მინისტრმა „112"-ის გმირები დააჯილდოვეს გვ.10-11

04 სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციები სტუმრად 112-ში გვ.12

05 სკოლის მოსწავლეების ვიზიტები 112-ში გვ.13-15

06 მომავლის თაობა გვ.16

07 „საქართველოს მომავლის აკადემია" გვ.16

08 „ნულოვანი სართულის გმირი" გვ.18

09 სპილომ ჩვილი სახლის ნანგრევებიდან გამოიყვანა გვ.16

01 შს სამინისტრომ დამოუკიდებლობის დღე თელავში აღნიშნა



შსს-მ საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, 26 მაისს თელავში მოქალაქეებს იმიტირებულ უსაფრთხო ქალაქში უმასპინძლა.

პროექტი - „ეს ჩემი ქალაქია“ სამინისტრომ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კამპანიის ფარგლებში წარმოადგინა. შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი თელავში, ერეკლე მეორის გამზირზე მოწყობილ იმიტირებულ ქალაქს ეწვია, ადგილობრივ მოსახლეობას დამოუკიდებლობის დღე მიულოცა და სამინისტროს დანაყოფების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა შემეცნებით-გასართობი კუთხე დაათვალიერა. იმიტირებულ ქალაქში ბავშვებსა და მოზრდილებს, სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის ტექნიკის, შეიარაღებისა და აღჭურვილობის გამოფენის გარდა, უამრავი სიურპრიზი დახვდათ: სპეციალურად მოწყობილ საბავშვო კუთხეში, შსს-ს „112“-ის დეპარტამენტმა ინოვაციური საბავშვო პროექტი - „112-ის კოსმოსური ხომალდი“ წარმოადგინა, სადაც მოზარდებმა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, სპეციალურად მათთვის შექმნილ კომპიუტერულ თამაშებში მიიღეს მონაწილეობა.

112

5

112

112

112

112

2

112

112

02 შს სამინისტრომ პოლიციელის პროფესიული დღე აღნიშნა

მიმდინარე წლის 31 მაისს, შსს-მ პოლიციელის პროფესიული დღე აღნიშნა. საზეიმო ღონისძიება შს სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა. აღნიშნულ ღონისძიებაზე შსს-ს „112“-ის დეპარტამენტი მეორედ წარსდგა.

ღონისძიებას საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრები, თბილისში სპეციალურად ამ დღისთვის ჩამოსული ლატვიისა და ლიტვის შს მინისტრები, სხვადასხვა ქვეყნის საპოლიციო სტრუქტურების ხელმძღვანელი პირები და დელეგაციები, ასევე, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნენ.

შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა შს სამინისტროს გამორჩეულ თანამშრომლებს, სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და მიღწეული წარმატებებისთვის, ვადამდელი წოდებები მიანიჭა, სამკერდე ნიშნები და მადლობის სიგელები პირადად გადასცა. მათ შორის მინისტრის „მადლობა“ გადაეცა შსს-ს „112“-ის დეპარტამენტის თანამშრომელს რობი კინწურაშვილს.

ღონისძიების მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული პოლიციელების ხსოვნას. პოლიციელის პროფესიული დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე შს სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურულმა დანაყოფმა პირადი შემადგენლობა, სპეცტექნიკა და შესაბამისი აღჭურვილობა წარმოადგინა. წლევანდელ ღონისძიებაზე წვევამდელებმა სამხედრო ფიცი პოლიციელის დღეს პირველად დადეს.



03 საქართველოს შს მინისტრის მოადგილემ და ლიტვის შს მინისტრმა „112"-ის გმირები დააჯილდოვეს

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, შსს-ს „112"-ის დეპარტამენტში პროექტის - „112-ის გმირი" დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. 4 მოზარდს „112-ის გმირის" წოდება მიენიჭა, 16-ს კი მადლობის სიგელი გადაეცა.

„112"-ის პროექტის რჩეული ბავშვები საქართველოში ვიზიტით მყოფმა ლიტვის შს მინისტრმა, ეიმუტის მისიუნასიმ, საქართველოს შს მინისტრის მოადგილემ, მერაბ მალანიამ და „112"-ის დეპარტამენტის დირექტორმა, გიორგი ბიჭაშვილმა დააჯილდოვეს. ამ ბავშვებმა ყველაზე მძიმე და გადამწყვეტ წუთებში გონიერება გამოიჩინეს და სხვა ადამიანების გადასარჩენად, გადაუდებელი დახმარების ნომერზე დროულად დარეკეს.

„112-ის გმირის" წოდება მიენიჭათ:

ლუკა ცხვედაძეს (თბილისი), გიორგი ასკილაშვილს (რუსთავი), გიორგი გოზალიშვილს (გორი) და მარიამ ჩხაიძეს (თბილისი).

● 9 წლის ლუკა ცხვედაძემ „112"-ში უმცროსი ძმის - 2 წლის გაბრიელის დასახმარებლად დარეკა. სანამ უფროსები შეუძლოდ მყოფი გაბრიელის დახმარებას ცდილობდნენ, ლუკა არ დაიბნა, 112-ზე დარეკა, ოპერატორს სწრაფად მიაწოდა ყველა საჭირო ინფორმაცია და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა გამოიძახა. დღეს, ლუკას დამსახურებით, პატარა გაბრიელი თავს კარგად გრძნობს.

● ძმის დასახმარებლად დარეკა 112-ზე 9 წლის გიორგი ასკილაშვილმაც. მისმა უმ-

ცროსმა ძმამ თამაშის დროს თავის ტრავმა მიიღო. გიორგიმ მაშინვე 112-ზე დარეკა, ოპერატორთან ყველა წესის დაცვით ითანამშრომლა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა გამოიძახა.

- 13 წლის გიორგი გოზალიშვილმა მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გამოიჩინა. მან გორში, ქუჩაში დაკარგულ მოხუც ქალბატონს დახმარება აღმოუჩინა. გიორგიმ 112-ში დარეკა, ოპერატორს დაკარგული ქალბატონის შესახებ საჭირო ინფორმაცია მიაწოდა და მოხუცი პოლიციის ეკიპაჟის მისვლამდე არ მიატოვა.

- 11 წლის მარიამი სახლში მარტო იყო, როცა მაღალი სიცხის გამო ცუდად გახდა. მან ამის თაობაზე მშობლებს შეატყობინა, პარალელურად კი 112-ზეც დარეკა. გოგონამ ოპერატორს თავისი მდგომარეობისა და სიმპტომების შესახებ სრული ინფორმაცია მიაწოდა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადას დაელოდა.

დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ, მოზარდებმა „112-ის მომავლის ოპერატორებთან“ ერთად შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი დაათვალიერეს და პირადად შეხვდნენ იმ ოპერატორებს, რომლებიც მათ ყველაზე მძიმე წუთებში დაეხმარნენ.

პროექტი „112-ის გმირი“ 2016 წლიდან, შს მინისტრის, გიორგი მღებრიშვილის ინიციატივით ხორციელდება. პროექტის ფარგლებში, ყოველი წლის 1 ივნისს ჯილდოვდება ყველა ის მოზარდი, რომელმაც კარგად იცის, თუ როგორ უნდა მოიქცეს გადაუდებელ შემთხვევებში.

04 სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციები სტუმრად 112-ში

შინაგან საქმეთა სამინისტროს „112“-ის დეპარტამენტს, მიმდინარე წლის მაისისა და ივნისის თვეში საბერძნეთის, ბელარუსის და ესპანეთის სამეფოს დელეგაციები ესტუმრნენ.

სტუმრები საქართველოში გადაუდებელი დახმარების მართვის სფეროში არსებულ სიტუაციას გაეცნენ და ქვეყანაში მოქმედი გადაუდებელი დახმარების ნომრის - „112“-ის ფუნქციონირების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღეს. დელეგაციის წევრებს საშუალება მიეცათ ადგილზე გაცნობოდნენ „112“-ის ოპერატორების მუშაობის სპეციფიკას და დაკვირვებოდნენ ზარის მიღებისა და შეტყობინების დამუშავების პროცესს.

„112“-ის დირექტორმა, გიორგი ბიჭაშვილმა დელეგაციის წევრებს ცენტრი პირადად დაათვალიერებინა და სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

ესპანეთის სამეფო დელეგაცია
01.06.2017

ბელარუსის დელეგაცია
07.06.2017

საბერძნეთის რესპუბლიკის დელეგაცია
02.06.2017

05 სკოლის მოსწავლეების ვიზიტები 112-ში

მიმდინარე წლის, მაისის და ივნისის თვეში, შსს-ს „112“-ის დეპარტამენტს, 200-მდე სხვადასხვა სკოლის მოსწავლე ესტუმრა.

პროექტის - „მოზარდებში გადაუდებელი დახმარების ნომრის ცნობადობის გაზრდა“ ფარგლებში, ქართული სასწავლებლის, ნიუტონის თავისუფალი სკოლის, მე-6 საავტორო და 62-ე, 157-ე საჯარო სკოლების მოსწავლეებმა „112“-ის თბილისის ცენტრი დაათვალიერეს და მიიღეს ინფორმაცია ქვეყანაში მოქმედი გადაუდებელი დახმარების ნომრის შესახებ.

#157
სკოლა

#62
სკოლა

სკოლა „ნიუზონი“

„ქართული სასწავლებელი“

06 „მომავლის თაობა“

მიმდინარე წლის 6 ივნისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს „112“ -ის დეპარტამენტს სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში სხვადასხვა სკოლის მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეები ესტუმრნენ.

მოზარდებმა „112“-ის ცენტრი დაათვალიერეს და მიიღეს ინფორმაცია ქვეყანაში მოქმედი გადაუდებელი დახმარების ნომრის შესახებ.

07 „საქართველოს მომავლის აკადემია“

მიმდინარე წლის 30 მაისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს „112“-ის დეპარტამენტს „საქართველოს მომავლის აკადემიის“ პროექტის „კანონის უზენაესობისა და აღსრულების სკოლა“ მონაწილეები ესტუმრნენ.

ეს საინტერესოა...

08 „ნულოვანი სართულის გმირი“

გერმანული შეპარდი სახელად „Trakr” 11 სექტემბრის ტერაქტის შედეგად განადგურებული „ტყუპების ნულოვანი სართულის გმირად“ შერაცხეს მას შემდეგ, რაც მან 30 ფუტის სიღრმეზე ნანგრევების ქვეშ მოყოლილ, ტერაქტის უკანასკნელ ცოცხლად გადარჩენილ მსხვერპლს მიაგნო.

პოლიციელი ძაღლი და მისი პატრონი - კანადის პოლიციის გადამდგარი ოფიცერი - ჯეიმს სემინგტონი, პირველები იყვნენ მათ შორის, ვინც შემთხვევის ადგილზე დაზარალებულთა დასახმარებლად მივიდა. „-სიცოცხლეში ერთხელ, ძაღლი არა მხოლოდ ადამიანის გულის მონადირებას და სიყვარულის მოპოვებას ახერხებს, არამედ ზოგ შემთხვევაში ისტორიასაც კი ცვლის!“ - სიამაყით აღნიშნა ჯეიმსმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

სამწუხაროდ 15 წლის ძაღლის ორგანიზმმა ვერ გაუძლო ნულოვან სართულზე ხანძრის შედეგად წარმოქმნილი ტოქსიური, ქიმიური კვამლის მავნე ზემოქმედებას...

„Trakr”-მა საგანგებო მდგომარეობის დროს იმდენად საჭირო და აუცილებელი თვისებები გამოავლინა, რომ შეპარდის დნმ გადაიტანეს სამხრეთ კორეის ერთ-ერთ კვლევით ცენტრში (BioArტს), სადაც ძაღლის კლონირება მოახდინეს, რათა სამომავლოდ ერთგული და გონიერი ცხოველი პოლიციაში სამსახურს დაუბრუნონ.

„-ბედნიერი ვარ, რომ ჩემი მეგობრის რაღაც ნაწილი, თნდაც ამ გზით გააგრძელებს ცხოვრებას. ამაყი ვარ, რომ ის ჩემი ძაღლია, ჩვენ ერთად ბევრი რამ გადავიტანეთ...“- ამბობს ჯეიმს სემინგტონი.

კლონირების შედეგად 5 ლეკვი დაიბადა, ერთი წლის განმავლობაში ისინი სემინგტონთან იცხოვრებენ და თუ „Trakr”-ის უნარჩვევებს ისინიც გამოავლენენ, ლეკვებს პოლიციელებს დაუბრუნებენ გასაწვრთნელად.

წყარო: www.dogguide.net

09 სპილომ ჩვილი სახლის ნანგრევებიდან გამოიყვანა

ინდოეთის ერთ-ერთ სოფელში სპილომ საცხოვრებელი სახლი დაანგრია. უეცრად ცხოველს ბავშვის ტირილის ხმა მოესმა, ფრთხილად გადაადგილა ნანგრევები, რომ 10 თვის გოგონა ამოეყვანა, ამის შემდეგ კი ტყეში გაუჩინარდა.

გოგონას დედამ „The Times of India"-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ გაოგნებული უყურებდა, როგორ მობრუნდა უზარმაზარი ცხოველი ბავშვის ტირილის ხმის გაგონებაზე და ნანგრევებიდან ამოიყვანა ჩვილი. გოგონამ სხეულის მხოლოდ უმნიშვნელო დაზიანებები მიიღო. ადგილობრივი მეტყევეების განცხადებით, ცხოველის საქციელი ძალიან გასაკვირია, რადგან უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე იგი სამი ადამიანის სიკვდილის მიზეზი გახდა და 17-ზე მეტი სახლი დაანგრია.

წყარო: news2day.ru



112

www.112.gov.ge
www.facebook.com/112.ge